

ელგუჯა ჭანტურია -ასოცირებული პროფესორი
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტი
ელ-ფოსტა: elgujachanturia@gmail.com

კორპორაციული მართვისა და საკორპორაციო სამართლის განვითარების ზოგიერთი ასპექტი

განვითარებული საკორპორაციო სამართალურიერთობათა არსებობა საკორპორაციო სამართლის ნორმათა საფუძველზე სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი ნიშანია. სამოქალაქო საზოგადოებისა და საკორპორაციო სამართლის პრობლემათა ურთიერთკავშირი აშკარაა, რამდენადაც, როგორც ცნობილია, სამოქალაქო საზოგადოება და მისი არსებობა, პირველ რიგში, მიეკუთვნება ამ საზოგადოების კერძო სუბიექტების სფეროს, რომლებიც სხვადასხვაგვარი ორგანიზაციების სახით გვევლინებიან.ეს ორგანიზაციები სხვადასხვა სტატუსს ფლობენ, მაგრამ ყველა მათგანს, საბოლოო ჯამში, არ ძალუძს არსებობა სამოქალაქო საზოგადოების გარეშე.სამოქალაქო საზოგადოება მოწოდებული არის ასახოს იმ სუბიექტების ინტერესები, რომლებიც საზოგადოებაში კერძო სამართალსუბიექტურობის რეალიზებას ახდენენ. საკორპორაციო ორგანიზაციების - საქართველოს საკორპორაციო სამართლის სუბიექტებისთვის - სამოქალაქო საზოგადოების არსებობა აუცილებელია, რამეთუ სამოქალაქო საზოგადოების გარეშე საკუთარი სამართალსუბიექტურობის რეალიზება მათთვის გაძნელებული იქნება, როგორც მათი ინტერესების სათანადო დაცვის უქონლობის გამო, ისე ასეთი დაცვის ეკონომიკური საფუძვლის არარსებობის მიზეზით. თუმცა როგორც კორპორაციები განიცდიან სამოქალაქო საზოგადოების მიმართ საჭიროებას, ისე სამოქალაქო საზოგადოებას ესაჭიროება ისინი, რამდენადაც დღეისათვის შეუძლებელია სამოქალაქო საზოგადოება წარმოვიდგინოთ კორპორაციების

ძირითადი სახეების გარეშე. სხვა სიტყვებით, კორპორაციები იმდენად მჭიდროდ მკვიდრდება ჩვენს ცხოვრებაში, რომ გვიწევს შემდეგი ფაქტის კონსტატირება - კორპორაციების არარსებობა მიგვიყვანდა სამოქალაქო საზოგადოების სრულ უსუსურობამდე და დეგრადაციამდე. ხომ ექვგარეშეა, რომ ნორმალურად განვითარებადი ქონებრივი მიმოქცევისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის სრულიად აუცილებელი არის კერძო ინიციატივის არსებობა, რის რეალიზებაც, სახელდობრ, კერძო სუბიექტებმა - პიროვნებამ, კორპორაციებმა უნდა განახორციელონ.

საქართველოს კონსტიტუცია წარმოადგენს სამართლებრივ ბაზას სამართლის ყველა დარგის, მათ შორის საკორპორაციოსთვისაც, რამდენადაც შეიცავს საკორპორაციო სამართალურთიერთობებისთვის დამახასიათებელ ნორმებს, კერძოდ, ამყარებს საკუთარი შესაძლებლობებისა და ქონების თავისუფლად გამოყენების უფლებას სამეწარმეო და კანონით ნებადართული სხვა საქმიანობისთვის. სწორედ ეს დებულება წარმოადგენს სამეურნეო ამხანაგობების და საზოგადოებების მონაწილეთა კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის საფუძველს.

ძველ სამყაროში კორპორაციები ჩანასახის მდგომარეობაში არსებობდნენ და გადამწყვეტ გავლენას ეკონომიკურ განვითარებაზე ვერ ახდენდნენ. ცნობილია, რომ კორპორაციების სათავედ სავაჭრო გილდიები ითვლება, რომლებიც ჩნდებოდნენ სავაჭრო მიზნებით ცალკეულ ქვეყნებში ერთობლივი მოგზაურობების ორგანიზებისთვის. ამ ვოიაჟებს სერიოზული საფრთხეები ახლდა: კეთილსაიმედო გზების არარსებობა, დაუცველობა ბუნების ძალების წინაშე, თავდასხმები მეკობრეების მხრიდან, ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები და ა.შ. მარტოხელა ვაჭარი დაუცველი მხოლოდ გზაში კი არ იყო, არამედ უცხო ქვეყანაშიც, ამიტომ ერთიანდებოდნენ, ქმნიდნენ ქარავანს, რათა შეძლებოდათ საკუთარი სიცოცხლისა და ქონების დაცვა ყაჩაღური თავდასხმების შემთხვევაში, ე.ი. შემუშავებული იყო ერთობლივი საქმიანობის პრაქტიკა და სავაჭრო ქარავნები განსაზღვრულ წესებს

ემორჩილებოდნენ (ნადარეიშვილი, 1992: 83-84). ვაჭართა ასოციაცია ჯერ კიდევ არ ისახავდა მიზნად საქმის ერთობლივ წარმოებას, არამედ მხოლოდ ცდილობდნენ მოეპოვებინათ მფარველობა, დაცვა იმ საქმიანობისა, რომელიც ცალკეული მონაწილეების მიერ ხორციელდებოდა.

მათთან ჯერ კიდევ არ იყო საუბარი საერთო კაპიტალზე, თუმცა არსებობდა საერთო გადასახადები, რომლებიც მოცულობით სახელმწიფო ან სათემო ბეგარას მოგვაგონებდნენ.

სავაჭრო გილდიები როდი იყო მთლიანი სამეურნეო ერთეულები, რამდენადაც მათთვის დამახასიათებელი იყო მონაწილეთა სოლიდარული პასუხისმგებლობა, დაფუძნებული ერთობლივი საქმიანობის საერთო პირობებზე. სავაჭრო გილდია პასუხს აგებდა თავისი თითოეული წევრის ვალისათვის, მსგავსად იმისა, როგორც ერთი ეროვნების პირები ერთმანეთზე აგებენ პასუხს უცხოეთში ან მოქალაქენი სოლიდარულად აგებენ პასუხს თემის ვალისთვის (Добровинская, 2012: 2-3).

სავარაუდოდ, კორპორაციები თავიდან საბერძნეთში გაჩნდა და მოგვიანებით რომშიც გავრცელდა. საბერძნეთში, როგორც ცნობილია, მაღალ დონეზე იყო განვითარებული საზღვაო მიმოსვლა, და ბერძნები, თავიანთი კოლონიზატორული პოლიტიკიდან გამომდინარე, უკვე იყენებდნენ კოლექტიური თანამშრომლობის ამ ფორმას. ზუსტ მონაცემებს ისტორია არ გვაძლევს.

უფრო სავარაუდოა, რომ კორპორაციები პირველად რომში გაჩნდა. ტერმინი „კორპორაცია“ წარმოშობილია ლათინური გამოთქმიდან „corpus habere“, რომელიც იურიდიული პირის უფლებას აღნიშნავს. კერძო კავშირების ასეთ უფლებას აღიარებდნენ რომის იმპერიაში იმპერატორობის პერიოდში. თუმცა სამოქალაქო-სამართლებრივი კავშირების საბოლოო აღიარება, როგორც სამართლის სუბიექტების ფიზიკური პირების თანასწორობისა, რომში არ მოხდა. საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ტერმინი „კორპორაცია“ გამოიყენებოდა ტერმინ „იურიდიული პირი“-ს სინონიმად. მნიშვნელოვნად ეს იმასთან იყო დაკავშირებული, რომ სამოქალაქო სამართალში არ იყო ცნობილი ცნება „დაწესებულება“; ყველა

წარმონაქმნი, ისინიც კი, რომლებიც ინსტიტუციური შინაარსით ივსებოდნენ, განიმარტებოდნენ როგორც „universitas“, ან კორპორაცია (ჭანტურია, 1997:209) მხოლოდ მოგვიანებით, გერმანელი ცივილისტების მიერ ტერმინ „დაწესებულების“ დამუშავების შედეგად, ცნებამ „კორპორაცია“ შეიძინა უფრო თანამედროვე მნიშვნელობა - იურიდიული პირი, დამყარებული წევრობაზე, მონაწილეობაზე. კორპორაციის, როგორც კავშირის განმარტებას, რომელშიც დიდი ხნის მანძილზე იგულისხმებოდა იურიდიული პირი, მოჰყვა ე.წ. დაწესებულების საკორპორაციო თეორიის გაჩენა, რომლის შესაბამისადაც დაწესებულება განიხილებოდა არა როგორც კორპორაციის საწინააღმდეგო ფორმა, არამედ როგორც კორპორაცია მონაწილეთა განუსაზღვრელი რიცხვით, რომლებშიც, არსებითად, იგულისხმებოდა მოცემული დაწესებულების ყველა დესტინატორი (მოსარგებლე). ასეთი თეორია არ შეიძლებოდა ყოფილიყო მიღებული, რამდენადაც წევრობის ცნება მისგან გამომდინარე კორპორაციის წევრის უფლებებითა და მოვალეობებით არ შეიძლება გამოყენებული იყოს დაწესებულების მოსარგებლის მიმართ. გარდა ამისა, დაწესებულების შექმნა ყოველთვის როდი გულისხმობს მოსარგებლეთა არსებობას.

ამ დროს კი გერმანელი ცივილისტები ახდენდნენ განსხვავებას რომაულ „universitas“-სა და გერმანულ კავშირებს შორის. ისინი აღნიშნავდნენ, რომ რომაული კორპორაცია - ესაა ფინგირებული პირი, განსხვავებული მისი შემადგენელი ინდივიდებისგან, მაშინ, როდესაც გერმანული კავშირები გაერთიანებებია, რომლებშიც მოკავშირე პიროვნების და მის წევრთა ინტერესები ერთმანეთზეა გადაწული იმგვარად, რომ წევრობის უფლებები არ უპირისპირდებიან მოკავშირე პიროვნების ინტერესებს.

რომაული სამართალი არ იცნობდა ტერმინს „იურიდიული პირი“. თავდაპირველად რომში კერძო კორპორაციები, რელიგიური თემები (*collegia sodalicia*) და ხელოსანთა პროფესიული კავშირები (*fabrorum, pistorum*) იყო არა იურიდიული პირები, არამედ გაერთიანებები, რომლებიც უბრალო ამხანაგობებს მოგვაგონებდნენ. მესამე პირთა ურთიერთობა კორპორაციასთან იგებოდა არა

მთლიანად, არამედ თითოეულ მონაწილესთან, ხოლო კორპორაციის საერთო ქონება კიგანიხილებოდა როგორც თითოეული მისი მონაწილის კუთვნილი განსაზღვრული წილით ან როგორც მისი ერთ-ერთი მონაწილის - ხაზინადრის, გაერთიანების საქმეთა მმართველის და მის წევრთა წინაშე პასუხისმგებლის - კუთვნილი. მხოლოდ იმპერატორთა ხანაში გახდა თემის დამოუკიდებლობის იდეა მასში შემავალი წევრების მიმართ მადომინირებელი. ხელოსანთა პროფესიული კავშირების და რელიგიურ თემთა ქონება განცალკევდა მათ წევრთა პირადი ქონებისგან (ნადარეიშვილი, 2002: 135-136). თუმცა მოცემულ პროცედურას მნიშვნელობა ჰქონდა მხოლოდ კავშირის შიდა ურთიერთობებში მის წევრებთან, რამდენადაც მესამე პირთათვის არსებობდა კავშირი არა როგორც მთლიანი, არამედ ფიზიკური პირები, კავშირის მონაწილენი. აღნიშნულის საფუძველზე ბევრი მკვლევარი აკეთებს დასკვნას, რომ რომაულმა კავშირებმა ვერ მიაღწიეს განვითარების იმ საფეხურს, რომელზეც თანამედროვე კორპორაციები ავიდნენ (მეტრეველი, 2002:50-51). მაგრამ უკვე მაშინ გამოიყოფოდა განსხვავება რომაულ კავშირებს (universitas) და სამოქალაქო-სამართლებრივ ამხანაგობებს (societas) შორის.

პირველი კავშირის არსებობა არ არის დამოუკიდებელი მის ცალკეულ წევრთა სიკვდილზე ან კავშირიდან გასვლაზე. ასეთი კავშირის ცალკეული წევრები არ ითვლებიან უფლებათა სუბიექტებად. კავშირის წევრებს შეუძლიათ, თვითონ შევიდნენ ხელშეკრულებაში მთელ კავშირთან და წაუყენონ სარჩელი კავშირს; ისინი პასუხს არ აგებენ საკუთარი ქონებით კავშირის ვალებისთვის და არ აქვთ მოთხოვნის უფლება იმ ვალდებულებების მიხედვით, რომელშიც კავშირი შევიდა და ა.შ. ყველა ეს თავისებურება არ არის დამახასიათებელი ამხანაგობისთვის (societas) (Новицкий, 2007: 59).

საქართველოშიც არსებობდნენ ორგანიზაციები და კორპორაციები-ვაჭართა და ხელოსანთა ორგანიზაციები, ასნაფები, ანუ ამქრები, რაინდობა და „ლაშქარნი“, სავანეების, მონასტრების ძმობანიც (ივ. ჯავახიშვილი, 1984: 234, 235).

რომაული ბატონობის მთელ იტალიასა და აღმოსავლეთზე გავრცელების კვალდაკვალ სწრაფად იცვლებოდა ძველი პატრიარქალური ურთიერთობები, რის დროსაც რომის მოქალაქე თავის მონებთან ერთად ამუშავებდა მიწას. ცალკეულ რომაელთა ხელში თავს იყრიდა შედარებით დიდი სიმდიდრე და სავაჭრო მიმოქცევის მოცულობა. მაგრამ ამ სიმდიდრეებს იხვეჭდნენ მნიშვნელოვანწილად სამეწარმეო ინიციატივის წყალობით, რომელმაც მთელი საზოგადოება მოიცვა. შემთხვევით როდი ითვლება რომი კერძო სამართლის აკვნად.

ეკონომიკის განვითარების, წარმოების ახალი საშუალებების გაჩენის პარალელურად, და, განსაკუთრებით, საზღვაო საქმის დაწინაურებით, სულ უფრო ვითარდება იურიდიული ფორმებიც. ჩნდება საზღვაო ამხანაგობები. პირადი ურთიერთობები ამ ამხანაგობებში უკანა პლანზე გადადის, პრიორიტეტი კაპიტალს ენიჭება. კაპიტალი იდებოდა ხომალდში. საზღვაო ამხანაგობის მიზანი ტვირთების გადატანა იყო. პატრონი, ე.ი. პირი, რომელმაც ხომალდის აგება გადაწყვიტა, აცხადებდა ხომალდის ზომებს, და შესაბამისად - პაის ზომებს. ჩვეულებრივ პაი თანაბრადნაწილდებოდა. ხარჯები ცხადდებოდა საერთოდ. შეიძლებოდა დადგენილი ყოფილიყო დამატებითი გადასახადები ხომალდის რემონტისთვის, აღჭურვილობის შესაძენად, ხომალდის ზომის გადიდებისთვის.

კორპორაციული ორგანიზაციის საწყისთა განვითარებას ხშირად უკავშირებენ სამთო ამხანაგობებს. მათი საქმეების მართვა მდგომარეობდა საერთო კრებების განმგებლობაში, რომლებიც საკითხებს წყვეტდნენ ხმათა უმრავლესობით. პაის რიცხვი მათში ფრიად სოლიდური (100-ზე მეტი) იყო, ამიტომ კრებაც მრავალრიცხოვანი იყო. სამთო ამხანაგობაში მონაწილეობის უფლებას განაპირობებდა პაის შეძენა, რომელიც გასხვისდებოდა თავისუფლად, მაგრამ უძრავი საკუთრების გასხვისების წესებით. პაის ფასები მუდმივად იცვლებოდა.

საკორპორაციო სამართლის განვითარებაში თავისი როლი ითამაშეს გენუურმა მათემატიკურმა სახელმწიფო კრედიტორების საკორპორაციო გაერთიანებებმა). მათი გაჩენის მიზეზია სახელმწიფო მეურნეობათა დეზორგანიზაცია და დაცემა. იტალიის

ქალაქები იძულებულნი იყვნენ დაეცვათ საკუთარი დამოუკიდებლობა, რაც უზარმაზარ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. საომარი ხარჯები სახსრებისწრაფ მოგროვებას ითხოვდა, მოსახლეობაზე გადასახადების დაკისრება ამ მიზნით საეჭვო იყო, ის არ პასუხობდა მოსახლეობის შეძლებული ნაწილის ინტერესებს, რომლებიც კანონმდებლობის საკითხებში გადაწყვეტ როლს თამაშობდნენ. სწორედ მაშინ დაიწყო სახელმწიფო სესხის განხორციელება, რაც ნაწილობრივ იძულებით ხასიათს ატარებდა. ამ საქმეში მოსახლეობის დიდი ნაწილი იყო ჩაბმული. სწორედ სახელმწიფო სესხების მეშვეობით შეიქმნა ბანკები ვენეციაში, გენუაში, ფლორენციაში. ამ სესხების პირობები შემდეგი იყო: მოქალაქეებს პირდებოდნენ პროცენტის გადახდას ვალის გასტუმრებამდე. ასეთი სესხის დადებისას ძალიან მაღალ პროცენტს აღუთქვამდნენ, ხოლო შემდეგ ის მცირდებოდა (Корпоративное право ..., 2010: 17, 18). ამიტომ აუცილებელი იყო სანქციათა ისეთი სისტემის მოფიქრება, რომელიც აიძულებდა მთავრობას, კეთილსინდისიერად შეესრულებინა ნაკისრი ვალდებულებები. შემოდებულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ჯარიმის სახით, რომელიც ეკისრებოდა ნებისმიერ მოხელეს, რომელიც არ შეასრულებდა თავის ვალდებულებას კრედიტორების მიმართ.

ასეთი ბანკები (მაონები) შეიძლება ჩაითვალოს ფინანსური ბიზნესის საწყის ფორმად. შემდგომში, გარდა სახელმწიფო სესხების სისტემისა, მათ სხვაგვარი სამეწარმეო საქმიანობაც წამოიწყო, ე.ი. შემოსავლის მიღება და მისი კრედიტორებში გავრცელება. მათი საორგანიზაციო სტრუქტურა რთული გახდა, რადგან ბანკები იწყებენ ერთმანეთის ლიკვიდაციას, შერწყმის პროცესს. მაგალითად, 1419 წელს გენუაში შექმნილმა წმ. გიორგის ბანკმა ამ თვალსაზრისით ყველა რეკორდი მოხსნა, შთანთქა მრავალი მაონი, გახდა ერთგვარი მაონების მაონი (Корпоративное право ..., 2010: 17, 18).

ამგვარად, საკორპორაციო სამართალმა, რომელმაც განვითარება დაიწყო სავაჭრო გილდიებითა და ვაჭართა ქარავნებით, რომლებიც წარმოადგენდნენ სავაჭრო კორპორაციების მხოლოდ პირველსახეს, აგრეთვე კერძო კორპორაციებით,

რელიგიური თემებით და ხელოსანთა პროფესიული კავშირებით, რამდენიმე სტადია გაიარა და უკვე 1419 წელი შეიძლება ჩაითვალოს ფინანსური საკორპორაციო ბიზნესის განვითარების საწყის წლად.

საფრანგეთში შუა საუკუნეებში არსებობდა შრომის საამქრული ორგანიზაცია. თუმცა საამქრული წყობის ბატონობა ხელს უშლიდა გაზრდილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას სამრეწველო ნაკეთობებზე და ქალაქის ღარიბთა ფენას უზღუდავდა შემოსავლების შესაძლებლობას. ამიტომ ხელოსნური წარმოების საამქრული ორგანიზაციის წინააღმდეგ გამოდიოდნენ ახლად წარმოშობილი ბურჟუაზია და ქალაქელების დაბალი ფენები.

ბურჟუაზიული ურთიერთობების განვითარებასთან ერთად მიმდინარეობდა პირველადი კაპიტალის დაგროვების პროცესი. მის ძირითად არხებს წარმოადგენდნენ საგადასახადო სისტემა, სახელმწიფო სესხები (ე.ი. სახელმწიფო ვალის სისტემა), სასამართლო და საფინანსო თანამდებობების გაყიდვა.

1439 წ. შემოღებულ იქნა პირდაპირი გადასახადი (დიდი, ან სამეფო, ტალია), რომლის გადახდევინება ხდებოდა მიწის, ქონების მიხედვით ან პერსონალურად (სულადობრივად). 1549 წ. საფრანგეთში დიდ ტალიასთან ერთად შემოღებულ იქნა მცირე ტალია, რომლიდანაც მიღებული შემოსავლები მიდიოდა ჯარის ანაზღაურებაზე. XVI საუკუნეში შემოღებულ იქნა გამოსყიდვის სისტემა: 1604 წ. ფინანსების სიურინტენდანტმა მ.სიულიმ (1560-1641) დაადგინა გადასახადების საერთო ფრანგული გამოსყიდვა. გამოსყიდვის სისტემა გახდა კაპიტალის პირველდაწყებითი დაგროვების წყარო. პირველი სახელმწიფო სესხი-რენტები გამოშვებულ იქნა საფრანგეთში 1522წელს, როდესაც *მეფე ფრანცისკ I-მა* (1494-1543) პარიზელ ბანკირებს სესხის სახით გამოართვა 250 ათასი ლივრი 10% გაანგარიშებით. დაიწყო სპეკულაციები სარენტო ქაღალდების კურსზე, გაიზარდა პროცენტები. სახელმწიფო სესხის სისტემის ნაყოფი გახდა ტონტინა - სახელმწიფო სესხების მიხედვით პროცენტების მიღების უფლების დამკვიდრება. ამ დროიდან ზრდა დაიწყო რანტიეტა - ფასიანი ქაღალდებიდან პროცენტების ხარჯზე მცხოვრები

პირების რიცხვმა. თუმცა სახელმწიფო სესხის არაკონტროლირებადმა გამოშვებამ გამოიწვია გაკოტრებები და 1596 და 1604 წწ. სიული იძულებული გახდა, გაეუქმებინა სახელმწიფო სესხები (Корпоративное право ..., 2010: 15, 16).

სამეფო ტალიისა და სხვა გადასახადების გაზრდამ, აგრეთვე საფრანგეთში მევახშური ექსპლუატაციის გაზრდამ განსაზღვრა გლეხობის ქონებრივ ფენებად დაშლისა და უმიწაწყლოდ დარჩენის პროცესი. შეძლებული და ბურჟუაზიული ფენები სარგებლობდნენ იმ შესაძლებლობით, რომ შეესყიდათ თავადაზნაურობის უფლება რენტის შეგროვებაზე, გამოსყიდვით იღებდნენ ირიბი გადასახადების მოსაკრებელს, დაკავებულები იყვნენ იპოთეკური კრედიტებით.

ამრიგად, საფრანგეთში გაბატონებული იყო მევახშეობა და გამოსყიდვის ოპერაციები.

მერკანტილიზმის პოლიტიკამ ყველაზე დიდი გაქანება მიიღო ჟ. კოლბერის (1619-1683) დროს. მას ეკავა ფინანსების გენერალური კონტროლიორის (მინისტრის) პოსტი. კოლბერი მიიჩნევდა, რომ სახელმწიფოს ძლიერება განისაზღვრება მასთან არსებული ფულის რაოდენობით. ფულის წყაროდ ის მიიჩნევდა ვაჭრობას. კოლბერი იყო ოსტ-ინდური და ვესტ-ინდური კომპანიების დამფუძნებელი, მან შემოიღო პროტექციონისტული ტარიფი, ახალისებდა სამეფო მანუფაქტურული მრეწველობის განვითარებას. საფრანგეთში განვითარდა კოლბერის მხარდაჭერით შექმნილი აბრეშუმის, შალისა და მეტალურგიული მანუფაქტურები, გაჩნდა საკრედიტო დაწესებულებები.

ფრანგული კომპანიები წარმოიშვა ჰოლანდიურების გავლენით, თუმცა უფრო ადრე ვაჭრობა საფრანგეთში ვითარდებოდა იტალიის ძლიერი ზემოქმედების ქვეშ.

კორპორაციულ ფენას საფრანგეთში ჰქონდა ერთი დამახასიათებელი თავისებურება: მისი დანერგვა ხდებოდა ზემოდან, შეიძლება ითქვას ძალისმიერად. საფრანგეთის მთავრობას ამით უნდოდა ენერგიული მხარდაჭერა გაეწია ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებისთვის.

მთავრობამ ჩათვალა, რომ შესწევს უნარი კერძო ინიციატივის არარსებობა შეანაცვლოს საკუთარი მხარდაჭერით, მაგრამ უცხოცუდად რეციფირდებოდა, ხოლო დანერგვა კიდევ უფრო ცუდად ხდებოდა. 1601 წელს ჩაიშალა პირველი ექსპედიცია ინდოეთში, 1604 წელს - მეორე, 1611 წელს ექსპედიცია ასევე არ შედგა და კომპანია სხვასთან გაერთიანდა. 1615 წ. ჰოლანდიელი მოსამსახურეების დახმარებით მაინც იქნა აღჭურვილი ორი ხომალდი, მაგრამ ისინი არ დაბრუნდნენ ინდოეთიდან, ხოლო კომპანიის საქმიანობამ ფუჭად ჩაიარა.

საკანონმდებლო რეგულირება იცვლებოდა უშუალო ზედამხედველობით და მეურვეობით მთავრობის მხრიდან. კომპანიები ვერ იღებდნენ საკანონმდებლო აღიარებას, რასაც ხელს უწყობდნენ საბირჟო სპეკულაციების პერიოდულად განმეორებადი აფეთქებები, და ამიტომ კორპორაციული ფორმა რამდენადმე ბრმად ვითარდებოდა. *1791 წლის 2 მარტის კანონმა* გამოაცხადა რეწვის თავისუფლება, მაგრამ სააქციო საზოგადოებების თავისებურებების საკითხი ღია დატოვა. დაიწყო მრავალრიცხოვანი სავაჭრო ამხანაგობის წარმოქმნა, რომლებიც თავიანთ ენერჯიას უმთავრესად სპეკულაციაზე მიმართავდნენ. მთავრობამ აკრძალა იმათი საქმიანობა, რომელთა საწესდებო კაპიტალი იყოფოდა თავისუფლად გადაცემად აქციებად და გაითვალისწინა კომპანიათა შექმნა საკანონმდებლო კრების ნებართვით.

ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა *სავაჭრო კოდექსის* გამოცემამდე. ივარაუდებოდა კომპანიათა შექმნის სანებართვო წესის კვლავაც შენარჩუნება. მაგრამ სავაჭრო კოდექსი ამ წინადადებებზე უფრო შორს წავიდა და სავაჭრო სამართლის სისტემა გაამდიდრა ახალი სამართლებრივი ცნებით - სააქციო საზოგადოებების ინსტიტუტით. სააქციო საზოგადოებები ლეგალიზებულ იქნა და მოიპოვეს მოქალაქეობის უფლება. ამასთან შენარჩუნდა მათი დაფუძნების წესი მთავრობის ნებართვების საფუძველზე, რომელიც არ იყო ვალდებული მოტივირებულად აეხსნა თავისი უარი.

1863 წლის კანონმა დეტალებში და დაწვრილებით განავითარა წინა კანონის დებულებები. *1867 წლის კანონმა* გარკვეული პარამეტრების მიხედვით გამოასწორა

კორპორაციული საქმიანობის საკანონმდებლო რეგულირება, ხოლო ცალკეულების მიხედვით შეამსუბუქა რა (კომპანიების დაფუძნების წესის შესახებ, მათი საქმიანობის დაწყების შესახებ, ხელმოუწერელი აქციების შესაძლო წილის შესახებ, კრების მოწვევის თაობაზე რევიზორების უფლების შესახებ და სხვა).

1. *კომპანიების შესახებ 1884 წლის კანონის* მიზანს წარმოადგენდა თავისუფალი ადგილების ამოვსება, სრულყოფა, თვით კორპორაციული წყობის ნგრევის გარეშე, ბოროტად გამოყენების აცილება ისე, რომ ამასთან ერთად მომხდარიყო კორპორაციად წოდებული ბრწყინვალე მანქანის მუშაობის გართულება, არ შესწირვოდა კორპორაციის თავისუფლება მათ ინტერესებს, რომელთა მიმდობელობას საზღვარი არ ჰქონდა, და იმავდროულად არ დაზარალებულიყო მათი ინტერესებიც (Шумилов, 2013: 208).

წარმოების სწრაფმა განვითარებამ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ზემოქმედებით XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გააძლიერა მისი კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის, მონოპოლიური გაერთიანებების შექმნის პროცესი. სამრეწველო და საბანკო კაპიტალების შეზრდამ მიგვიყვანა უმსხვილესი ფინანსური ჯგუფების შექმნასთან, რომლებმაც საკვანძო პოზიციები დაიკავეს სამეურნეო საქმიანობის ძირითად დარგებში. ყოვლისშემძლე კორპორაციებმა არ დააყოვნეს და ჩაერთვნენ თავიანთი სახელმწიფოების შიდა და საგარეო პოლიტიკაში, დაუმორჩილეს ის საკუთარ კონტროლს. დაიწყო სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ჩამოყალიბების პროცესი, რომელსაც განსაკუთრებული გაქანება მიეცა პირველი და მეორე მსოფლიო ომების პერიოდში.

მონოპოლიები, როგორც მეურნეობის მძლავრი სუბიექტები, მოგების მიღების მიზნით სულ უფრო აქტიურად ზემოქმედებდნენ ფასწარმოქმნის სფეროზე. ეს არამარტო სერიოზულ დისპროპორციებს იწვევდა ცალკეული ქვეყნების ნაციონალური მეურნეობის ჩარჩოებში, არამედ ასევე აძლიერებდა საერთაშორისო ეკონომიკურ წინააღმდეგობებს. ამრიგად, ეკონომიკური კრიზისები XX საუკუნეში უმთავრესად დაკავშირებული არის არა ჰიპოთეტურ შეფერხებებთან სასაქონლო,

ფულადი მიმოქცევის სფეროში, არამედ მონოპოლიების ანგარებიან პოლიტიკასთან. სწორედ ამან განსაზღვრა კრიზისების მიმდინარეობის თავისებურებები, მათი ციკლურობა, მასშტაბები, სიღრმე, ხანგრძლივობა და შედეგები. კერძოდ, XX საუკუნის პირველ ნახევარში კრიზისები უფრო ხშირი მოვლენა ხდება წინა პერიოდთან შედარებით, იმ დროს, როდესაც გამოცოცხლებისა და ზრდის სტადიები - ნაკლები ხანგრძლივობის. ომისშემდგომი წლები აშშ-თვის ხასიათდება ახალი მონოპოლისტური ჯგუფების გაძლიერებით, რომლებიც 1941-1945 წლებსა და კორეის ომის დროს გამდიდრნენ შეიარაღების მიწოდების ხარჯზე. იმ დაჯგუფებებთან ერთად, რომლებსაც თავიანთი ცენტრი ჰქონდათ ნიუ-იორკში (მორგანები, როკფელერები, დიუპონები და სხვ.), დიდი ზეგავლენა მოიპოვა საშუალო-დასავლურმა დაჯგუფებამ ცენტრებით ჩიკაგოში, დეტროიტში, კლივლენდში, სამხრეთ დასავლეთის დაჯგუფებამ, რომლის ძირითად ბაზას წარმოადგენდნენ სან-ფრანცისკო, ლოს-ანჯელესი, სამხრეთის დაჯგუფება ცენტრით დალასში. თითოეულ მათგანს ჰქონდა თავისი რეგიონული ეკონომიკური ინტერესები და ისწრაფოდა გავლენა ჰქონოდა მთავრობის პოლიტიკაზე. 1960 წლებში ჩანიშნული სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთის ჯგუფების ბლოკი ნიშნავდა რეაქციის პოზიციების გაძლიერებას აშშ პოლიტიკურ ცხოვრებაში (Шумилов, 2013: 209). ინგლისში კორპორაცია შეიძლება განისაზღვროს როგორც თვით იურიდიული პირი, ვინაიდან იურიდიული პირები აქ იყოფა კორპორაციულებად, რომლებიც წარმოადგენენ პირებისერთობლიობას (corporation aggregate), და ერთპიროვნულ კორპორაციებად (corporation sole).

აშშ-ში კორპორაცია, მართალია, არ წარმოადგენს იურიდიული პირის ერთადერთ ფორმას, მაგრამ ის იმავდროულად მოიცავს ყველაზე განსხვავებულ ორგანიზაციებს. კორპორაციები აქ არსებობს ოთხი სახის: საჯარო, კვაზისაჯარო, სამეწარმეო და არასამეწარმეო (Шумилов, 2013: 208-209). საჯაროებს განეკუთვნება სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოები, კვაზისაჯაროებს - კორპორაციები, რომლებიც ემსახურებიან მოსახლეობის საერთო საჭიროებებს. სამეწარმეოები

ძირითად მიზნად ისახავენ მოგების მიღებას და მათი შედარება შეიძლება სააქციო საზოგადოებებთან სამართლის კონტინენტალური სისტემის ქვეყნებში. არასამეწარმეო კორპორაციები არ ისწრაფიან მოგების მიღებისკენ.

საფრანგეთსა და გერმანიაში იურიდიული პირების კლასიფიკაციის დროს ტერმინი „კორპორაცია“ საერთოდ არ გამოიყენება: საფრანგეთში იურიდიული პირები იყოფიან ამხანაგობებად და ასოციაციებად, ხოლო გერმანიაში - კავშირებად და დაწესებულებებად და ბოლოს, საქართველოში იურიდიული პირები იყოფა კომერციულ და არაკომერციულებად (Шумилов, 2013: 209).

მოყვანილი კლასიფიკაციები მოწმობს იმას, რომ თავისთავად ტერმინის „კორპორაცია“ გამოყენება (ან არგამოყენება) არ ნიშნავს ასეთი ორგანიზაციის აუცილებელ განკუთვნებას (ან უარს განკუთვნებაზე) კორპორაციული ტიპის ორგანიზაციებისადმი. მისი ტიპის განსაზღვრისთვის აუცილებელი არის, როგორც მინიმუმი, დადგენილ იქნეს წყობის ძირითადი პრინციპი, ე.ი. გაირკვეს, შექმნილი არის თუ არა ის წევრობის პრინციპით.

კორპორაციები წარმოადგენენ ფიზიკური და (ან) იურიდიული პირების ნებაყოფლობით გაერთიანებებს, რომლებიც ორგანიზებული არის მისი მონაწილეების წევრობის საწყისებზე.

იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციაში არის რამდენიმე მონაწილე, რომლებიც მისი მართვის უფლებას ფლობენ, მათ შორის მისი ბედის განსაზღვრის უფლება აქვთ, მაშინ, როგორც წესი, სირთულეები არ წარმოიშვება. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ორგანიზაციას ჰყავს მხოლოდ ერთი ასეთი მონაწილე ან დამფუძნებელი, დაისმის კითხვა იმის შესახებ, შეიძლება თუ არა ასეთი ორგანიზაციის მიკუთვნება კორპორაციულებისადმი, თუ ის თავისი სტატუსით უნდა მიეკუთვნოს დაწესებულებებს ან სხვა (არაკორპორაციულ) წარმონაქმნებს.

კორპორაციული სამართლის განვითარებამ განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში დღეს საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია - შემუშავებული არის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების დიდი რაოდენობა, დაგროვდა

საკმარისად ვრცელი სასამართლო პრაქტიკა. მაგრამ გარკვეულ ეტაპზენათელი გახდა, რომ პრობლემების გარკვეული ნაწილის გადაწყვეტა სავალდებულო ნორმების დახმარებით შეუძლებელი არის, ვინაიდან მათი გადაწყვეტა საერთოდ სცილდება საკანონმდებლო ველს.

კორპორაციული ურთიერთობების მონაწილეებისთვის - არამარტო საქართველოში, არამედ ბევრ სხვა ქვეყანაშიც - უფრო ნათელი ხდებოდა, რომ ურთიერთნდობის გარეშე, გარკვეული ეთიკური ნორმების დაცვის, გონიერებისა და კეთილსინდისიერების გამოვლენის გარეშე განვითარება ამ სფეროში შეიძლება შეჩერდეს (მახარობლიშვილი, 2015: 130).

XX საუკუნის ბოლო და XXI საუკუნის დასაწყისი ბევრ ქვეყანაში ერთობ გამორჩეული გახდა კორპორაციული სამართლის სფეროში. სახელმწიფო მოსამსახურეების კალიფორნიის საპენსიო ფონდმა, რომელსაც თავისი სახსრები შეაქვს კომპანიათა აქციებში, დააყენა საკითხი ამ კომპანიათა საქმიანობის შესახებ სრული და სარწმუნო ინფორმაციის მიღების აუცილებლობის შესახებ, აქციონერთა უფლებების დაცვის შესახებ, კომპანიასა და მის აქციონერებს, აღმასრულებელ ორგანოებსა და დირექტორთა საბჭოს შორის ურთიერთობების შესახებ, კომპანიის სხვადასხვა ორგანოებსა და აქციონერებს შორის ნდობისა და გახსნილობის ხარისხის შესახებ (Корпоративное право ..., 2010: 19).

გადაწყვეტილება კაპიტალის დაბანდების შესახებ უშუალო დამოკიდებულებაში დგებოდა ფონდის მიერ ჩამოყალიბებულ კორპორაციულ წესებთან მიმართებაში. ვინაიდან ბევრი კორპორაციისთვის კალიფორნიის საპენსიო ფონდი ერთობ მიმზიდველ ინვესტორს წარმოადგენდა, ისინი დაეთანხმენ ამ წესების შესრულებას. უფრო გვიან ისინი საფუძვლად დაედო ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო) მიერ შემუშავებულ *კორპორაციული მმართველობის პრინციპებს*. ეთგო-ს პრინციპები, რომლებშიც ასახვა ჰპოვა იმ დროისთვის დაგროვილმა შესაბამისმა პრაქტიკამ, ხელმოწერილ იქნა ეთგო-ს

საბჭოს სხდომაზე 1999 წლის 26-27 მაისს და ამ დროიდან მათი გამოყენება შესაძლებელი იყო კორპორაციული ქცევის გაუმჯობესებისთვის.

კალიფორნიის საპენსიო ფონდის ინიციატივამ გააცნობიერა ის ფაქტი, რომ ინფორმაცია კომპანიების საქმიანობის შესახებ აუცილებელი არის ნებისმიერი ინვესტორისთვის, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ამა თუ იმ საწარმოში ფულის დაბანდების შესახებ. ეკონომისტების გამოკვლევებმა აჩვენა, რომ კომპანიის რეპუტაცია, მის მიერ ეთიკის ნორმების და კორპორაციული ქცევის მაღალი სტანდარტების დაცვა უშუალოდ მოქმედებს მის რეიტინგზე, მის მიმზიდველობაზე აქციონერთა და ინვესტორთა თვალში, მსოფლიო საფონდო ბირჟებზე დაშვებაზე.

ეთგო-ს დოკუმენტში ფორმულირებული და გახსნილი არის ხუთი ძირითადი პრინციპი:

1. აქციონერთა უფლებები;
2. თანასწორი დამოკიდებულება აქციონერთან მიმართებაში;
3. დაინტერესებული პირების როლი კორპორაციების მმართველობაში;
4. ინფორმაციის გახსნა და გამჭვირვალობა;
5. დირექტორთა საბჭოს მოვალეობები (Корпоративное право ..., 2010: 19).

თითოეულ ამ პრინციპს დაერთვის მოკლე კომენტარი, რომელიც მისი შინაარსის გაგების საშუალებას იძლევა. ამ დოკუმენტის ძირითადი მიზანია, შემუშავდეს აქციონერთა უფლებების დაცვის, აქციონერთა მიმართ თანასწორი დამოკიდებულების, კომპანიის შესახებ ინფორმაციის, მათ შორის მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ, დროული და ზუსტი გახსნის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ბევრმა ქვეყანამ შეიმუშავა კორპორაციული მმართველობის ნაციონალური კოდექსები, რომელთა უმრავლესობა ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს. მათ მიზანს წარმოადგენს იმ დებულებების დანერგვა კორპორაციული მმართველობის პრაქტიკაში, რომლებსაც კომპანიები გამოიყენებდნენ არა იმიტომ, რომ მათი დაუცველობა აუცილებლად გამოიწვევს სანქციებს სახელმწიფოს მხრიდან, არამედ

იმით, რომ ეს მომგებიანი არის თვით კომპანიისთვის. ასეთი კოდექსები წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკის, ეთიკური და მორალური დანაწესების კრებულს, რომელთა სავალდებულობა ზოგიერთ შემთხვევაში უფრო მაღალი არის, ვიდრე საკანონმდებლო ნორმათა სავალდებულობა, თუმცა ისინი არ არის გამაგრებული სახელმწიფო იძულებით.

თანამედროვე ქართული კორპორაციული მმართველობის პრაქტიკამ გაითვალისწინა ბევრი ქვეყნის მიღწევა და ასევე დადგა დამატებითი სარეკომენდაციო ნორმების შემუშავების აუცილებლობის წინაშე, რომელთა მიზანი იქნებოდა აქციონერებისა და პოტენციური ინვესტორების ინტერესების დაცვა, ნდობის დამკვიდრება კორპორაციული ურთიერთობების მონაწილეთა შორის. საკანონმდებლო ნორმების საკმარისად დიდი ბლოკის არსებობა, ახალი კანონების პროექტების მომზადება (კერძოდ, აფილირებული პირების, ინსაიდერული ინფორმაციის, იურიდიული პირების რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ) არ ხსნის სრულად ყველა ზემოთ მითითებულ პრობლემას.

2009 წელს საქართველოს ბანკების ასოციაციის მიერ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის მხარდაჭერით მიღებულ იქნა „კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის“. კოდექსის მიზანია კორპორაციულ ბანკებში, კორპორაციული მართვის სფეროში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და კორპორაციული მართვის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება (დოლიძე, 2017: 39-40)

კოდექსის ზედაპირული გაცნობაც კი წარმოადგენს იძლევა მისი უჩვეულობის და უნიკალურობის შესახებ საქართველოს კონტექსტში. ჩვენში არასდროს შემუშავებულა დოკუმენტი, რომელიც ატარებდა მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს.

მისი შემუშავება შეიძლება შევადაროთ ისეთი საერთაშორისო სარეკომენდაციო დოკუმენტების შემუშავებას, როგორც არის *საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპები*, მომზადებული 1994 წელს კერძო სამართლის

უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ. როგორც წესი, ასეთი ხასიათის დოკუმენტები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი, ვისთვისაც არის ისინი გათვალისწინებული, მკაფიოდ გამოხატავენ ნებას გამოიყენონ ისინი თავიანთ ურთიერთობებში.

უნდა ითქვას, რომ საჯარო მმართველობა, როგორც წესი, დადგენილი წესრიგის უზრუნველყოფის მექანიზმია და მისი მტავარი თვისება -უმთავრესად კოლექტიური გადაწყვეტილების მიღებისა და არსრულების უნარია (გურგენიძე, 2014:15).

კორპორაციული (სამეწარმეო) მართვის სფეროში მოქმედი „რბილი სამართლის“ გამოყენება უფრო ეფექტურს ხდის კორპორაციათა მართვას. „რბილი სამართლის“ ცნების ქვეშ იგულისხმება, როგორც კორპორაციული მართვის კოდექსები, ისე კორპორაციული მართვის პრინციპები, ამერიკის შეერთებული შტატების მსგავსად. (

კორპორაციული ქცევის კოდექსის შემთხვევაში უნდა მოქმედებდეს მსგავსი მექანიზმი - მათ, ვისზეც ვრცელდება მისი ნორმები, (ეს, პირველ რიგში, მსხვილი ღია სააქციო საზოგადოებები, რომლებიც გადიან საერთაშორისო საფონდო ბაზრებზე, აგრეთვე მისი გამოყენების მსურველი ნებისმიერი სხვა სამეურნეო საზოგადოებები), უნდა განაცხადონ თავიანთ საქმიანობაში მისი გამოყენების შესახებ. ეს შეიძლება განხორციელდეს საზოგადოების მიერ გადაწყვეტილების მიღების გზით კოდექსის რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე და საკუთარ წესდებასა და სხვა შიდა დოკუმენტებში კოდექსის რეკომენდაციების ამსახველი შესაბამისი დებულებების შეტანით, ან კორპორაციული ქცევის საკუთარი კოდექსის მიღებით მოდელის სახით რეკომენდირებული კოდექსის გამოყენებით.

არის რა სარეკომენდაციო, კოდექსი არ არის სავალდებულო ძალის, მაგრამ თუ მისი დებულებების შეტანა ხდება კონკრეტული საზოგადოების შიდა დოკუმენტებში, ისინი ხდება ისევე სავალდებულო, როგორც ხელშეკრულების ტექსტში შესატანი რეკომენდაციები, წარმოადგენენ მხარეთა მიერ სავალდებულოდ შესასრულებელ პირობებს. კოდექსის დებულებების საზოგადოების შიდა

დოკუმენტებში შეტანის მოტივაციას წარმოადგენს ბაზრის ობიექტურად არსებული ეკონომიკური მოთხოვნები ინვესტორების მოზიდვის თაობაზე.

კოდექსის შემუშავების პროცესში მის განხილვაში მოწვეულ იქნა ბევრი პრაქტიკოსი. დოკუმენტის უჩვეულო ხასიათი ასეთი განხილვების დროს იწვევდა არაერთმნიშვნელოვან შეფასებას. ხშირად ისეთი მოსაზრებაც გამოითქმებოდა, რომ ამ დოკუმენტის სარეკომენდაციო ხასიათი მას ფორმალურად გადააქცევს.

ამ შენიშვნის დასაბუთებისთვის შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი არგუმენტი - კანონის სავალდებულო ნორმებსაც კი ყოველთვის არ იცავენ, რაღა უნდა ვილაპარაკოთ სარეკომენდაციო დოკუმენტზე. ჩვენი შეხედულებით, ეს არგუმენტი უფრო კოდექსის სასარგებლოდ მეტყველებს, ვიდრე მის წინააღმდეგ. კანონის დებულებების დარღვევა მოწმობს იმას, რომ მოთხოვნათა აუცილებელი ხასიათი არ წარმოადგენს წინააღმდეგობას მათი შეუსრულებლობისთვის, ამდენად კოდექსის სარეკომენდაციო ხასიათი არ არის განმსაზღვრელი მისი დებულებების გამოყენების ან არგამოყენებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

2. გ. ნადარეიშვილი. სამართლის ნორმებით მოწესრიგებული საერთაშორისო ვაჭრობა ქრისტეს დაბადებამდე მეთვრამეტე საუკუნეში. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1992, №2, გვ.83-84
3. Добровинская А.В. Корпоративное право: учеб. пособие. М.: Инфотропик Медия, 2012, გვ. 2,3
4. ლადო ჭანტურია შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. თბ. „სამართალი“ 1997, გვ.209
5. გიორგი ნადარეიშვილი რომის სამოქალაქო სამართალი (საფუძვლები) თბ. „ბონა კაუზა“, 2001, გვ.135-136.
6. ვალერიან მეტრეველი. რომის სამართალი (საფუძვლები). თბ.: „მერიდიანი“, 2002, გვ.50,51.

7. И.Б.Новицкий. Римское право. Учебник для вузов. – М.: «ИКД зеркало», 2007, გვ.59
8. ივ. ჯავახიშვილი თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII თბ. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“ 1984, გვ. 234, 235
9. Корпоративное право: учеб.пособие для студентов вузов, обучающихся по специальности «Юриспруденция» (под ред. И.А.Еремичева, Е.А. Павлова). 3-е издание перераб. и допол. – М.: Юнити-Дана, Закон и право, 2010, გვ.17-18
10. Шумилов В.М. Правовая система США: Учебное пособие. - 3-е изд. – М.: «Междунар. отношения,» 2013, გვ, 208
11. გიორგი მახარობლიშვილი. კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი (შედარებით სამართლებრივი კვლევა) თბ.: „იურისტების სამყარო“, 2015, გვ. 130, 131.
12. ვაჟა გურგენიძე საჯარო პოლიტიკური მმართველობის თეორია და პრაქტიკა თბ. „კალმოსანი“ 2014, გვ.15
13. დავით დოლიძე. კორპორაციული მართვის სამართლებრივი მოწესრიგება სააქციო საზოგადოებაში (შედარებით-სამართლებრივი კვლევა). თბ.: „იურისტების სამყარო“, 2017, გვ. 24, 25

Elguja Chanturia-Associate Professor,
LEPL Samtskhe-Javakheti State University
E-mail: elgujachanturia@gmail.com

Some Aspects of the Origin of the Corporate Management and Corporate Justice

Abstract:

Some issues of origin of corporate law are discussed in the work; It is noted that the existence of developed corporative justice on the basis of corporation norms - is one of the main signs of civil society. The conclusion concerning on the fact, that the corporation law, which began developing by trading guilds and merchants caravans, is the first form the trade

corporations. The origins and development of corporations in England, the United States and France are also discussed in the work.

Development of corporate law has reached quite high level in the countries of market economy- A large number of legislative and sub-legislative acts have been developed. A sufficiently extensive court practice has accumulated. But at some point it has become clear that a certain part of the problems could not be achieved with the help of mandatory norms, because their solution generally goes beyond the legislative field. That is why it was necessary to introduce codex of corporate management